



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000016612795717

№ ს-800

12 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის #ს-757 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის #ს-757 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და საკრებულოს წევრი იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული ობიექტის მიღება (მერის წარმომადგენელი და საკრებულოს წევრი მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით)“.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

